# ოქმი N8

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

**ქ. ხობი** **2024 წლის 31 ივლისი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა მსოფლიო ჩემპიონის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ხობის მუნიციპალიტის მკვიდრის ნუგზარ (ნუგო) წურწუმიას ტრაგიკულად დაღუპვის თაობაზე და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას. ასევე განაცხადა, რომ შემოდის წინადადებით გაიხსნას მისი სახელობის ვარსკვლავი და ახალ სპორტულ კომპლექსს მიენიჭოს ნუგზარ წურწუმიას სახელი. იქვე დაავალა საკრებულოს შესაბამის კომისიას და საკრებულოს აპარატს მიეცეს შესაბამისი და სამართლებრივი მსვლელობა აღნიშნულ საკითხის განხორციელებას და განცხადება გადასცა საკრებულოს აპარატს.

*დღის წესრიგი:*

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: გ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

3. „მდგრადი განვითარების მიზნების ხობის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი);

4. „კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე მერების შეთანხმებასთან მიერთებისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გამოღმა ქარიატის ტერიტორიაზე არსებული N1 ქუჩისთვის ლევან ჭოჭუას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

6. ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ექნებოდათ შენიშვნები და მოსაზრებები

**აზრი გამოთქვეს:** დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მერიაში შემოსული იყო სამეგრელოს ქუჩის მცხოვრებთა ერთობლივი განცხადება

საგზაო ნიშნების განთავსებასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზე მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ და შემოვიდა წინადადებით დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს დამატებოდა წარმოდგენილი საკითხი.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის დღის წესრიგის მე-7 საკითხად დამატებასთან დაკავშირებით

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0,**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ლაშხია, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია)

**დაადგინეს:** დღის წესრიგს მე-7 საკითხად დაემატოს „ხობის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი ;

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი);

3. „მდგრადი განვითარების მიზნების ხობის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი);

4. „კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე მერების შეთანხმებასთან მიერთებისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გამოღმა ქარიატის ტერიტორიაზე არსებული N1 ქუჩისთვის ლევან ჭოჭუას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

6. ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი).

7. „ხობის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის კორექტირებულ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0,**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ლაშხია, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია)

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს კორექტირებული სახით

## დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: დ. ჭოჭუა** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა** - გამომსვლელმა განაცხადა, რომ რამოდენიმეჯერ დასვა საკითხი საკრებულოს სხდომაზე, კულტურის სამსახურის თანამშრომლის გოგიტა ჩიტაიას, რომელიც არის ხობის მუნიციპალიტეტის მემატიანე და მკვლევარი, თანამდებობრივი რანგისა და თანამდებობრივი სარგოს ცვლილების თაობაზე, რომელიც დღემდე არ დაკმაყოფილდა, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იძლევა ამის შესაძლებლობას.

**მ. ქარდავა** - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მისთვის მუნიციპალიტეტში არსებული მრავალსართულიანი კორპუსების გადახურვა არასწორად მიაჩნია.

**ლ. ქავთარაძე** - გამომსვლელმა განაცხადა, რომ არაერთი კოლექტიური წერილი იყო შემოსული კორპუსების გადახურვასთან დაკავშირებით, მერიის მხრიდან კი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდებოდა გადახურვა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

**ლ. ლიპარტია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა შემოსულობები 1738,4 ათასი ლარით და განისაზღვრა - 27332,2 ათასი ლარით. გადასახდელები გადიდდა 1918,4 ათასი ლარით და განისაზღვრა 33073,6 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად ხორციელდება შემდეგი ცვლილებები: 1700,0 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ: 1700,0 ათასი ლარი შემოსავალი „საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)“ გადასახადისაგან, საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2024 წლის 17 ივლისის 04-03/54952 წერილი; 215,0 ათასი ლარით მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები, კერძოდ: პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნებები. 2024 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან აისახება 180,0 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებები. შემოსულობების ზრდით მიღებული 1700,0 ათასი ლარი (საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)), გამოთავისუფლებული 215,0 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) და ნაშთის 180,0 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი), სულ 2095,0 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებაზე 11,1 ათასი ლარი, პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებაზე 1574,8 ათასი ლარი, პრიორიტეტის „დასუფთავება და გარემოს დაცვა“ ასიგნებებზე 280,0 ათასი ლარი, პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ ასიგნებებზე 229,1 ათასი ლარი, ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0,**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ლაშხია, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(დადგენილება N15 ოქმს თან ერთვის)**

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: გ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

**მოისმინეს: გ. ბუკია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა** - გამომსვლელი დაინტერესდა, აღნიშნულ მშენებლობასთან დაკავშირებით დამატებით იქნებოდა თუ არა საჭირო ხეების მოჭრა?

**გ. ბუკია** - გამომსვლელმა განმარტა, რომ მათი ინფორმაციით დამატებით ხეების მოჭრა არ განხორციელდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

**ბ. მამაცაშვილი** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2024 წლის 18 იანვარს მიღებულ იქნა N1 განკარგულება, „ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

ნაკვეთზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ შპს „ბლექ სი პეტროლიუმისთვის“ თანხმობის მიცემის შესახებ“, რის შემდეგაც ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 45.15.22.020; დაზუსტებული ფართობი: 599 970.0 კვ.მ) ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის დამკვეთს მიეცა დავალება წარმოედგინა განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. გეგმარებით ტერიტორიაზე დაგეგმილია ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა, საორიენტაციო წარმადობით 3 მლნ ტონა წელიწადში. გათვალისწინებულია ნედლეულისა და სარეალიზაციო პროდუქციის მიღების, შენახვისა და გადაზიდვის ობიექტების, ენერგომომარაგების ობიექტების, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების მოწყობა, ასევე განთავსდება ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები და ქარხნის სხვა ობიექტები. დამკვეთის მხრიდან წარმოდგენილ იქნა განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი, რომლის საფუძველზეც ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში, არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0,**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ლაშხია, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, მ. ლემონჯარია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(დადგენილება N16 ოქმს თან ერთვის)**

3. „მდგრადი განვითარების მიზნების ხობის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი)

**მოისმინეს: რ. შულაია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „მდგრადი განვითარების მიზნების ხობის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

**ვ. ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, რომელიც სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 და 2017 წლის 7 ივლისის A/RES/71/313 რეზოლუციებს. ხობის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, მდგრადი განვითარების 11 მიზანი და 27 ამოცანა განისაზღვრა მუნიციპალურ პრიორიტეტად. მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი ეხება მდგრადი განვითარების 3 განზომილებას – ეკონომიკურს, სოციალურსა და გარემოს დაცვითს. იგი წარმოადგენს იმ მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების ადგილობრივ განსაზღვრებას, რომლის შესაბამისადაც ხობის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, მისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობის დაგეგმვას 2030 წლამდე. მდგრადი განვითარების მიზნების კომპლექსურობის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ერთად, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელებს აქტივობებს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „მდგრადი განვითარების მიზნების ხობის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0,**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ლაშხია, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია, თ. ქირია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N14 ოქმს თან ერთვის)**

4. „კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე მერების შეთანხმებასთან მიერთებისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვ

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი)

**მოისმინეს: რ. შულაია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე მერების შეთანხმებასთან მიერთებისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

**ვ. ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია, დაბალემისიანი განვითარება და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებისა და გაეროს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულებებით და ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებით (ეროვნული დადგენილი კონტრიბუციის ვალდებულება (NDC), გრძელვადიანი დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია, ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული სამოქმედო გეგმა, კლიმატის ცვლილების

სტრატეგია 2030, საქართველოს განვითარების სტრატეგია - ხედვა 2030 და სხვა) საქართველოს დადასტურებული აქვს მზაობა შეიტანოს წვლილი კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციასა და სათბური აირების ემისიის შემცირებაში. მერების შეთანხმება (COM) ჩამოყალიბდა გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავების და მასში ადგილობრივი თვითმმართველობების მონაწილეობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. თავდაპირველად 2008 წელს ევროკავშირში წამოწყებულმა ინიციატივამ, რომლის მიზანი ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ევროკავშირის კლიმატის და ენერგეტიკული პოლიტიკის ამოცანების განხორციელება იყო, 2015 წელს გლობალური შეთანხმების სახე მიიღო. დღეის მდგომარეობით მერების შეთანხმებაში მსოფლიოს 12 ათასზე მეტი მუნიციპალიტეტია გაერთიანებული. მერების შეთანხმების ხელმომწერთა შორის საქართველოს 32 მუნიციპალიტეტია, რომლებიც 2030 წლის საქართველოს ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი მდგრადი ენერგიისა და კლიმატის სამოქმედო გეგმების (SECAP) შემუშავების დაპირებით. მერების შეთანხმების ხელმომწერი მუნიციპალიტეტები მონაწილეობას იღებენ საბჭოს საკოორდინაციო ჯგუფში, რაც საბჭოს დებულების მიხედვით, შესაძლებლობას აძლევს მუნიციპალურ ხელისუფლებებს კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით საკუთარი პროექტების, საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესახებ ინფორმაცია გააცნონ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს და აქვე მოითხოვონ დამატებითი მხარდაჭერა SECAP გეგმების შესრულების ნაწილში. მერების შეთანხმების ხელმომწერი მუნიციპალიტეტები მონაწილეობდნენ საქართველოს 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგიის შემუშავებაში. აღწერილ პროცესებში ჩართვისა და სრულფასოვანი მონაწილეობისთვის პრიორიტეტად მიიჩნევა ხობის მუნიციპალიტეტის ჩართვა კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე მერების შეთანხმებაში, რის გამოც, ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოსგან თანხმობის მისაღებად მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე მერების შეთანხმებასთან მიერთებისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0,**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ლაშხია, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია, თ. ქირია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N15 ოქმს თან ერთვის)**

5. „ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გამოღმა ქარიატის ტერიტორიაზე არსებული N1 ქუჩისთვის ლევან ჭოჭუას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: გ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

**მოისმინეს: გ. ბუკია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გამოღმა ქარიატის ტერიტორიაზე არსებული N1 ქუჩისთვის ლევან ჭოჭუას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

**ლ. ლიპარტია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (დასკვნა ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მერიაში შევიდა ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გამოღმა ქარიატის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება სოფელ გამოღმა ქარიატაში არსებული N1 ქუჩისთვის ლევან ჭოჭუას სახელის მინიჭების თაობაზე, განცხადებაში ნათქვამია, რომ ლევან ჭოჭუა იყო 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე და თავი შესწირა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას. ლევანი პატარაობიდანვე გამოირჩეოდა თავისი თანატოლებისაგან ნიჭიერებითა და კეთილშობილებით, სკოლის დამთავრებისთანავე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში, სადაც გმირულად დაიღუპა. სოფელ გამოღმა ქარიატელების დიდი სურვილია N1 ქუჩას მიენიჭოს ლევან ჭოჭუას სახელი. წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის

ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე სოფელ გამოღმა ქარიატაში არსებულ N1 ქუჩისთვის ლევან ჭოჭუას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“, გამომდინარე იქიდან, რომ ლევან ჭოჭუას გარდაცვალებიდან 20 წელი არ არის გასული. საკრებულოში შემოსულ წერილზე კომისიის მიერ ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სადაც გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სახელდების საკითხს. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0,**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ლაშხია, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია, თ. ქირია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N16 ოქმს თან ერთვის)**

6. ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს: დ. ჭოჭუა** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

**არადამაკმაყოფილებელი – 0**

**დამაკმაყოფილებელი – 0**

**დადებითი – 23**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ლაშხია, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია, თ. ქირია, გ. ქარდავა)

**დაადგინეს:** წარმოდგენილი ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ივნისის შესრულების შედეგების შესახებ შეფასდეს დადებითად.

7. „ხობის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

**მოისმინეს: გ. ბუკია** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ განკარგულებაში წერია, რომ საგზაო ნისანი უნდა განთავსდეს ფოთის ქუჩასა და გამსახურდიას კვეთასთან, რაც შეცდომაა, რადგანაც აღნიშნულ ქუჩებს კვეთა არ გააჩნდათ და განკარგულებაში ჩაეწეროს ზვიად გამსახურდიასა და რუსთაველის ქუჩები. იქვე შემოვიდა წინადადებით მერაბ კოსტავას ქუჩაზე (ხობის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი მიმდებარედ), მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ქუჩების კვეთასთან (ორივე მხარეს) მერაბ კოსტავასა და დავით აღმაშენებლის ქუჩების კვეთასთან და მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ქუჩების კვეთასთან (რუსთაველის ქუჩის მიმართულებით) პროექტში მითითებული საგზაო ნიშანი „სატვირთო ავტომობილის გაჩერება აკძალულია“ (N3,2) 8 ტონაზე ზემოთ შეიცვალოს საგზაო ნიშნით „დგომა აკრძალულია“.

სხდომის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ წინადადებას საკრებულოს უმრავლესობა დაეთანხმა და კენჭი ეყარა აღნიშნულ წინადადებას

კენჭი ეყარა სხდომის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0,**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ლაშხია, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია, თ. ქირია)

კენჭი ეყარა კორექტირებულ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0,**

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ლაშხია, მ. ხუხია, ნ. ბოკუჩავა, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია, თ. ქირია)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**(განკარგულება N17 ოქმს თან ერთვის)**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2024 წლის 31 ივლისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. ნუგზარი შუშანია
4. გოჩა ქაჯაია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. დოდო გაბუნია
9. მედეა თათარიშვილი
10. აკაკი მალანია
11. დიტო ხასია
12. ბექა ხარბედია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. აკაკი ხურცილავა
16. თამარი ქირია
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. ფრიდონ კუკავა
20. გურიელ ქარდავა
21. ქეთევან კვირიკაშვილი
22.ფრიდონი შონია
23. ირაკლი ზაქარაია
24. მალხაზ იოსავა
25. მაკა ჩარტია
26. სერგო ბერაია